1877—1895

№ 225
ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი 1895

# ივერია

№ 225
ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**დარია დიმიტრის ასული მუსხელოვისა, მღვდელი გრიგოლ დავითის ძე გეორგიევი** და **გიორგი ივანეს ძე მუსხელოვი** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ პირველის დედისა, მეორის დისა და მესამის სიდედრის **ეკატერინე დავითის ასულის კოლუბანსკის** დასაფლავება ზედ დასასწრებლად. წირვა გარდახდილ იქმნება კალოუბნის ეკლესიაში, 22 ოქტომბერს, კვირას, დილის 9 საათზედ და დაასაფლავებენ კალოუბნის ეკლესიისავე გალავანში. (2—1964—1).

## საიუბილეო დღესასწაული

## თავ. რ. ერისთავისა

1) დეპუტაციები და სიტყვის თქმის მსურველნი მიჰმართვენ დღესასწაულის წეს-რიგის მიმცემს გიორგი წერეთელს.

2) ლოჟისა და სხვა ადგილის კონტრამარკებისათვის უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას და ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, ხოლო ქანდარისა და ამფითეატრის კონტრამარკებისათვის—ვლ. ალექსი-მესხიშვილსა და კ. მესხს, ქართულ თეატრის კანტორაში, დილის 10 ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4—7-დე.

3) ნადიმზედ დასწრების მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ვ. გუნიას შაბათს შუადღემდე.

4) დეპუტაციებისა და მიმლოცველთა შესახებ წეს-რიგის დადგენა მინდობილი აქვთ თეატრის დარბაზში ვლ. ალექსი-მესხიშვილს, კ. მესხსა და ვალ. გუნიას.

**საიუბილეო კომიტეტი.**

პეტერბურგიდგან ჩამოსული

**იურისტი**

სწერს თხოვნებს **მათის უდიდებულესობის სახელობაზედ** და აგრეთვე ყოველგვარ სადავო, სააპელაციო, საკასსაციო და სხვ. თხოვნებს,—კისრულობს სისხლის სამართლისა, სამოქალაქო და სხვა საქმეების წარმოებას სენატში, სინოდში და საზოგადოდ პეტერბურგის ყველა უმაღლეს სასამართლო და სხვ. დაწესებულებეში. აგირავებს მამულებსა და სახლებს ბანკში. მსურველთ აძლევს წერილობით რჩევას. ნახვის მსურველთა მიღება შეიძლება საღამოს 5-დგან 7 საათამდე. არსენალის ქუჩა, სახლი № 21 (მელიქოვისა), ოლქის სასამართლოს პირდაპირ, სადგომი ბ-ნის გუდიმ-ლევკოვიჩისა.

## ახალი ამბავი

—

*** სამიწათ-მოქმედო სამინისტროს დეპარტიმენტის დირექტორმა ბ. კოსტიჩევმა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისში, დაათვალიერა ამ სამინისტროს დაწესებულებანი: სააბრეშუმო სადგური, საბაღოსნო სკოლა, ბოტანიკური ბაღი და სხვა. გუშინ კოსტიჩევი, ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, ყარაიაზს უნდა წასულიყო იქაურის საცდელ სადგურის დასათვალიერებლად.

*** ქართული სამკითხველო, რომელიც იმყოფებოდა კოჩუბეის ქუჩაზედ, გადატანილ იქმნა მოლოკანთა ქუჩაზედ, სახლი № 5, იაფ-ფასიან სასადილოს პირდაპირ.

*** მთავარმმართებელს კავკასიის სტიპენდიანტად ჩაურიცხავს, სხვათა შორის, ბაქოს რეალურ სასწავლებლის კურს-შესრულებული კ ავალიანი, რომელიც პეტერბურგის ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში შედის.

*** ხვალ, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში თავ. ალ. არღუთინსკი დაასრულებს კითხვას თავისის გამოკვლევისას ბორჩალოს მაზრის შესახებ.

*** კვირას, 22 ოქტომბერს, ტფილისის რუსული საკვირაო სკოლა დღესასწაულობს ათის წლის იუბილეს. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართველ ქალთა წრე ადრესით ულოცავს ხსენებულს სკოლას დღესასწაულს.

*** ს. თეკლათი, (სენაკის მაზრა): ჩვენკენ კარგი დარები დგას. ქურდობამ თან-და-თან იმატა. გლეხები ჭირნახულს ეზიდებიან მინდვრებიდგან სახლში.

*** ს. ნატოჩაო, (სენაკის მაზ.): პური და სიმინდი ძლიერ ცოტა მოგვივიდა. წლის ბოლომდის ბევრს არ შეჰყვება სარჩო. ღვინო ხომ სრულებით არ მოგვივიდა.

*** 17 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ ჩხუბი მოხდა. ნახევარ საათი ჩხუბობდნენ მოჩხუბრები, მაგრამ პოლიციელი მაინც არსადა სჩანდა. ქალაქის შუა გული ქუჩა რომ ასეთ მდგომარეობაშია, სხვა მიყრუებულ ქუჩებში რაღა იქნება?

*** ს. ალიბეგლო: ჩვენში ქურდობა გახშირდა, იპარავენ ცხენებს, ხარებს; ამ დღეებში შეიპყრეს ერთი ყაჩაღი და ერთიც მოჰკლეს.

*** სკრა, (ქართლი): ღვინის მოსავალი სრულიად არ არის აქეთ: ვისაც უწინ სამოცი და ასი კოკა მოსდიოდა, წრეულ ათი და ოცი კოკა არ მოუვა. შემოდგომის ავდრებმა ბევრს ნება არ მისცა წლის მოსავალი სრულიად დაებინავებინათ.

*** სოფ. სანებელი, (ქართლი): აქეთ აგერ თითქმის მთელს თვეს ერთ თავად ავდრიანობდა და ბევრს სამუშაოში უშლიდა მცხოვრებლებს ხელს. ერთი კვირა არ იქმნება, რაც გაიდარა. მოსავალი პურისა წრეულს კარგი მოვიდა, მაგრამ რა გამოვიდა, თითქმის ქერის ფასად იყიდება. კოდი პური — საუკეთესო, ცხრა აბაზადა და ორ მანეთად ფასობს, ქერი ფუთი ექვსი შაური. განუწყვეტელის ავდრებისა გამო ბოლო დროს ძალიან ციოდა.

*** „ნოვ. ვრ."-ს სიტყვით, რუსეთისა და საფრანგეთის კაპიტალისტებს უთხოვნიათ სპარსეთის მთავრობისათვის, რომ მიეცეს მათ ნება რკინის გზა გაიყვანონ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ალიატის სადგურიდან თავრიზით და თეირანით სპარსეთის ყურეს ერთ-ერთ ნავთ-სადგურამდე ბელუჯისტანის ახლო.

ქიზიყი: ზემო-მაჩხაანში განუზრახავთ ორ-კლასიანი სასწავლებელი დააარსონ. ვისურვებთ სისრულეში მოეყვანოთ ეს განზრახვა, რადგანაც ქიზიყში ამ მხარეს სამს სოფელს ერთი სასწავლებელი აქვს და თვითოეულს სოფელში-კი ოთხას კომლზე ნაკლები მცხოვრებელი არ არის.

### კორესპონდენცია.

—

**რაჭა.** ჩვენსკენ ამ ბოლო დროს საუცხოვო ამინდებია. ეს გარემოება აქაურ გლეხკაცისათვის ბევრად გამოსადეგი და სასარგებლოა. ჯერ იყო და სიმინდის დამწიფებას მოუმართა ხელი, რის გამოც წელს სიმინდის მშვენიერი მოსავალი მოგვივიდა, მეორე კიდევ ყველა საშემოდგომო საქმეს გლეხ-კაცი უფრო თავისუფლად და ხელ-შეუშლელად აკეთებს. ეს მშვენიერი ამინდები სამერმისო მოსავლისათვისაც ძალიან კარ-

## ფელეტონი

—

### სებასტიანე ფორი და მისი ახალი თხზულება „მსოფლიო მწუხარება".

(La douleur universelle).

შემდეგი*)

ინტელლექტუალური პროლეტარიატი (prolétariat intellectuel). ამ შავი მუშების გვერდით არიან კიდევ მრავალი ადამიანები, რომლებითაც ავსებულია ათასნაირი „კანცელარიები", მაღაზიები, საანგარიშო დახლები, მრავალნაირი სასამსახურო ადგილები—ეს ხალხიც ჯამაგირისთვის მუშაობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხელის მაგიერ აქირავებენ თავისს გონებრივს ნიჭს (ცოდნას); ამათი მდგომარეობა შედარებით ხელით მუშებთან ბევრად უკეთესი ჰგონია კაცს: მათი მომავალი ცხოვრება დაზღვეულია „უიმედო, უსაღსარო" მდგომარეობისაგან, მაგრამ რომ დააკვირდეთ, რა სატანჯველი, საზიზღარი შრომა აწევთ ამათაც თავზედ! წარმოიდგინეთ მყაწვილი კაცი, ჯერ კიდევ მრთელის ღონით, სიცოცხლით სავსე, ჩავარდნილი ამ გაუთავებელ, უსაშველო იერარხიის მორევში; უნდა დაიწყოს სამსახური კიბის პირველ საფეხურიდგან, უნდა აწარმოვოს ერთი და იგივე მოსაწყენი, უხალისო, უსიამოვნო საქმე პირველ იანვრიდგან 31 დეკემბრამდის; უნდა დაჰყურებდეს ერთსა და იმავე სტოლს, უნდა ასწორებდეს ერთსა და იმავე საწერს, ერთისა და იმავე უფროსის მხედველობის ქვეშ. ამნაირად მუდამ უნდა იტრიალოს თავის პატარა გალიაში ისე, რომ მის დღეში ერთი სიამოვნებით სული ვერ უნდა მოითქვას; ეს მუდმივი გაჯახირებული ცხოვრება, რომელიც არ აძლევს ნებას ერთი დღე ოცნებით მაინც იქნას გატაცებული ისე, რომ მშრალი, უხალისო, პროზა, ყოველისავე ოცნების დამქრობი გარემოება წინ არ გადაელობოს; ეს მონოტონური, ერთნაირი ცხოვრების ზანტად მიმდინარეობა,—ყოველსავე სურვილს მოკლებული გარდა იმისა, რომ თავისი ადგილი არ დაჰკარგოს, ყოველსავე იმედზედ ხელ-აღებული გარდა იმისა, რომ მიიღოს რამე წარჩინება, ანუ საჩუქარი; მისი ერთად-ერთი ნუგეში ის არის, სიბერის დროს რამე ორი გროში შეირჩინოს და შიმშილით არ ჩაიჩვას. ამ ხალხის ცხოვრების აზრი არის შეჩერებული მხოლოდ სამ შემდეგ მნიშვნელოვან სიტყვებზედ: „მართებლობა კანცელარიისა, სამსახური, ბრძანება". ყოველივე ამ წვალებასთან, ღირსების დამამცირებელ მდგომარეობასთან, თუ გეძლევათ მაინც თქვენ რამე ამ შრომის „საფასური"? ათასობით და ათიათასობით მოსამსახურები ბანკებში, თუ რკინის გზებზედ, თუ ფოსტატელეგრაფის სტანციებზედ გასრესილნი უზომო იერარხიზმის მეხანიზმით, მცხოვრებნი მუდამ შფოთსა და შიშში კრედიტორებისაგან, რომ არ დაასმინონ უფროსს და ადგილი არ დააკარგვიონ, როგორც ვიცით, მიჰყავთ გაჯახირებული ცხოვრება მუდამ ნაკლულევანებასა და მოთმინებაში.

ნუ გგონიათ, რომ უკეთესს მდგომარეობაში იყვნენ კომერციისა და სხვა რამე ხელობის მეცადინენი: მყიდველ-გამყიდველი, მოანგარიშე, სასტუმროებში და მაღაზიებში მოსამსახურენი, ჩავარდნილნი „ორ ცეცხლ შუა"—პატრონების ბრძანებისა და მუშტრის ვედრების შუა, რომელნიც იძულებულნი არიან ემსახურონ ერთსაც და მეორესაც; მოვალენი არიან იმეცადინონ პირველის ინტერესებისთვის და მეორეებსაც აჩვენონ სახე, ვითომ მათთვინაც ზრუნავენ, რადგანაც მათი ბედი პატრონთა და მუშტართა ხელთ არ არის.

შუათანა შეძლების კლასს (classe moyenne) შეიძლება იფიქროთ აქვთ სამყოფი სარჩო, თავისუფალი საკუთრებაც, შეუძლიან ცოტაოდენი ნებივრობის უფლება მისცეს თავისს თავს: იაროს თეატრში, ბალში, წყლებზედ, ჩაჯდეს „კარეტაში", მაგრამ კარგად დააკვირდით მისს ცხოვრებას და თქვენ შეამჩნევთ, რომ ესენიც სწუხან, იტანჯებიან, შეიძლება იმ მიზეზით და იმ ნაირად არა, როგორც პირველნი, მაგრამ იმდენად, ანუ შეიძლება კიდევ მეტად. დააკვირდით შუათანა ვაჭრის ცხოვრებას, რომელიც ალიონზედ დგება, მთელი მისი დღე გადის ანგარიშში, მუდამ თვალ-ყურის დევნებაში, ყიდვა-გაყიდვაში, შეწუხებული, შევიწროებული თავისს კაპიტალის წარმოებისათვის ზრუნვით, აშფოთებული მუდმივი ცუდი მაზანდის, ვაჭრობის გამო,—მხოლოდ ორი საგანი ელანდება განუშორებლად: კონკურენცია და გაკოტრება, შუათანა მოხელეების ხვედრიც ხომ უარესი თუ არა, ამნაირივე სატანჯველია: იგივე კონკურენცია, იგივე შიში, შფოთვა, იგივე მოუსვენრობა, იგივე ჯიბრი-გადაკიდება, უსამართლობა. შეიძლება ვინმემ იფიქროს: ისეთი სოფლის მუშები იყვნენ, რომლებსაც თავისი საკუთრება აქვთ და შედარებით სხვებზედ უფრო კმაყოფილი ცხოვრება აქვთო?

გადავხედოთ ერთი მათ მდგომარეობასაც: შეწუხებული დღითი-დღე უფრო სამძიმო გადასახადებისაგან, დაძაბუნებული უსაშველო ვალებისაგან, მოუსავალის წლებისაგან, სოფლის მუშა ცხოვრობს მუდამ გოლვის, სეტყვისა და სხვა მოულოდნელი მოვლენების შიშს ქვეშ; დილას შფოთვით გამოღვიძე-

*) იხ. „ივერია" № 224.

გია. ასე და ამ რიგად ორი-სამის წლის მოუსავლობით დამშეულმა მაზრის მცხოვრებლებმა წელს მგონი კუჭი საკმაოდ გაიძღონ. საერთოდ წლევანდელი წელიწადი ბევრად შესანიშნავია რაჭველებისათვის. წელს დაიწყეს და ახლო მომავალში დაამთავრებენ კიდეც როგორც იმერეთის სამხედრო გზას, რომელიც რაჭიდგან მამისონის ქედზედ ოსეთამდე გადადის, აგრეთვე ნაქერალის გზატკეცილს. ეს ორი გზა ძალიან ბევრს სარგებლობას მოუტანს რაჭველებს და მგონი მერმისში სამუდამოდ შიმშილობას აგვაცდენს. საქმე იმაშია, რომ ოსეთში და იმერეთის ზოგიერთ მაზრებში სიმინდის მოსავალი თითქმის ყოველ წელიწადს კარგია ხოლმე, მაგრამ უგზობის გამო ჩვენს მაზრას სულ ვერა ხვდებოდა; ეხლა-კი მოტანა გაადვილდება და რადგან რაჭველს ყოველ მუდამ ფული მოეპოვება, სყიდვაც შეიძლება. მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ახალი პროექტი იქმნა წარდგენილი, საცა ჯერ არს, რაჭაზედ ოსეთში რკინის გზის გაყვანისა. თუ ეს პროექტი განახორციელეს და ჩვენსკენ რკინის გზა გაიყვანეს, მაშინ ჩვენი ყოფა-მდგომარეობა ერთი-ათად გაუმჯობესდება.

ი. ა.

## პატარა სურათი.

ზაალ ნიკორიძე სცხოვრობდა თავისის ცოლით და ერთი ვაჟიშვილით ვასოთი სოფელ ბ—ში. რახან ამის მეტი შვილი არ ჰყავდა ვასოს დედ-მამას,—ყმაწვილს ძალიან ანებივრებდნენ; დედა ყოველთვის მზად იყო შეესრულებინა შვილისათვის ყოველი თხოვნა, ოღონდ-კი არ ეტირნა მას. ბავშვიც რა ჰხედავდა დედ-მამის ამნაირ ქცევას, მიეჩვია ჭირვეულობას, სულ უბრალო რამეზედ მოჰყვებოდა ლანძღვას; დედ-მამა მაინც უგურგულებდა და ყოველსავე მისს ლანძღვაზედ სიამოვნების ღიმილით „ყოჩაღს" უძახდა. რაც შეეხება თავისს ტოლებთან თამაშობას,—ვასო აქაც ძალიან დიდგულობდა, რახან თავისის დედ-მამისაგან ქომაგობის იმედი ჰქონდა. ხშირად მოხდებოდა, რომ ვასო თავისს ტოლებს გასტკეცდა და ბზუილით გაისტუმრებდა შინისკენ, მხოლოდ თვითონ დედასთან მორბოდა სახარებლად, დედა კიდევ ხელის თავზედ სმით ასჩუქრებდა თავისს გამარჯვებულ შვილს; მხოლოდ თუ ვინმე ხელს შეუბრუნებდა და გაამწარებდა ვასოს, ის დედასთან მორბოდა ბუზღუნით, რახან იცოდა, რომ დედა არავის შეარჩენდა მისს გამწარებას.

ამნაირი ნებივრობით იზრდებოდა ვასო დედ-მამის ხელში თერთმეტ წლამდის. თერთმეტის წლისა რომ გახდა, მამამ წამოიყვანა ქალაქში გიმნაზიაში შესაყვანად. წამოყვანაზედაც ბევრი იღრიალა ვასომ და—გაამწარა დედ-მამა, მაგრამ შემდეგში ფეშქაშებმა, რომელსაც დაჰპირდა დედ-მამა, მოხიბლა იგი. ეგზამენი როგორც იყო დაიჭირა და კიდეც მიიღეს; ეხლა ზაალს მხოლოდ ის-ღა დარჩენოდა, რომ ვასოსთვის კარგი სახლის პატრონი ეშოვნა, პირველ შემთხვევაში არც ხარჯსა ზოგავდა. რა-კი თვითონ გამოუცდელი იყო, ამისთვის სახლის პატრონის არჩევაში დაეკითხა გიმნაზიის მთავრობას. მთავრობამაც ურჩია ზაალს ერთი საუკეთესო ოჯახი, სადაც მიიყვანა ვასო საცხოვრებლად. ვასოს ძალიან ეუცხოვა სახლის პატრონი, მისთვის სრულიად უცნობი იყო ის ცხოვრება, რომელშიაც იგი ჩავარდა; ყმაწვილი ერთბაშად დალონდა, აღარაფერი მისთვის სახალისო არ იყო, ან-კი რა წაახალისებდა, როდესაც ყოველსავე მის საქმის გაფუჭების დროს „ყოჩაღ" კი-არ ესმოდა, არამედ სილაქებსაც მიიღებდა ხოლმე. რასაკვირველია, ნებივრობაში აღზრდილმა ვასომ ვერ აიტანა ცხოვრება და დაიწყო ავადმყოფობა. ერთი წელიწადი დიდის საცოდაობით დაჰყო ამ სახლის პატრონთან; ეგზამენების გათავების შემდეგ შინ რომ წავიდა, გარდასწყვიტა აღარ მოსულიყო ძველ ბინაზედ; მამაც ძველ ბინის გამოცვლაზედ ადვილად დასთანხმდა, მით უმეტეს რომ არ ეპიტნავებოდა ვასოს შევიწროება. ქალაქში წამოსვლის დრო რომ მოვიდა, ვასოს თვითონაც თან წამოჰყვა ბინის საშოვნელად.

ზაალს ერთი ძველი ნაცნობი სახლობა ჰყავნდა და იქ დააყენა ვასო. ამ სახლობაში ბევრნი იყვნენ, მომეტებულად ქალიშვილები. ვასოს ძალიან ესიამოვნა აქ დგომა; ის თავის სახლივით თავისუფლად იყო და თავის გასართობად ქალებიც გვერდზედ ჰყავნდნენ. სწავლას უკლო და კლასში ორ-ორ წელიწადს რჩებოდა. მას ხშირად შეხვდებოდით პროსპექტზედ და მუშტაიდში თავისს სახლის პატრონის ქალებით მოსეირნეს. ამ ქალების წყალობით ვასომ სხვა ქალებიც გაიცნო, რასაკვირველია, ამათთანაც სეირნობდა და სტკბებოდა „კომპლიმენტებით", რომელსაც ხშირად ეუბნებოდნენ ხოლმე ვასოს. ამნაირმა დაუდევრობამ და ხეტიალმა მოუღო ბოლო ვასოს სწავლას. ამას ის მოჰყვა, რომ გიმნაზიის მმართველობამ დაითხოვა იგი ცუდის სწავლისათვის და თანაც მისწერა ვასოს მშობლებს, რომ ჩაებარებინათ თავიანთი შვილი. ზაალი, რა მიიღო მიწერილობა, გულ-გახეთქილი გამოეშურა ქალაქისაკენ,—წამხდარი საქმის მოსავლელად; მოსვლისათანავე გაეშურა გიმნაზიისკენ, ბევრი ემუდარა მმართველობას, მაგრამ ამაოდ. მას იმის მეტი აღარა დარჩა-რა, რომ წამოეყვანა ვასო და მამა ასეც მოიქცა: უქირავა ვასოს მეორე ცხენი და გამოუდგნენ სოფლისაკენ. რომ შვილისათვის არ ენაღვლებინა სწავლიდგან დათხოვა, ზაალი ხშირად ეტყოდა ხოლმე გზაში: „რასა დარდობ, რა აზნაურშვილობა ჩამოგართვეს რა"? ის-კი არ იცოდა ზაალმა, რომ ვასოს აღარც-კი ახსოვდა გიმნაზიიდგან დათხოვა, არამედ მას ის უფრო აღონებდა, რომ სახლის პატრონის ქალებთან ვეღარ ისეირნებდა.

სოფელში მოსვლა ძალიან სწყინდა ვასოს, როგორც თვითონ ამბობდა ძალიან „სკუჩნაობა არისო". აბა როგორ არ მოეწყინებოდა, როდესაც გლეხებთან იგი არ კადრულობდა ლაპარაკს, და კეთილშობილნი არ იყვნენ ამ სოფელში. უსაქმოთ ყოფნაც მოეწყინა ვასოს, ორი თვე ძლივს გასძლო. ბოლოს განიზრახა ჩინოვნიკად შესვლა სამაზრო სამმართველოში; მამამაც მოიწონა შვილის აზრი და სთხოვა მაზრის უფროსს; უფროსმაც შეიწყნარა ზაალის თხოვნა, მაგრამ რადგანაც ადგილი არ იყო, „კანდიდატათ" ჩარიცხა ვასო. ზაალმა და ვასომ დიდის სიამოვნებით მიიღეს მაზრის უფროსის წყალობა; მეორე დღესვე შეუდგა ვასო ახალ სამსახურს, სწორედ აქ ნახა მან თავისი ამხანაგები. სამაზრო სამმართველოში ბევრნი იყვნენ „კანდიდატები" ვასოსავით გამორიცხულები. ვასო ძალიან შეეთვისა ახალ ამხანაგებს. ხშირად ეპატიჟებოდა მათ და ერთად დროს ატარებდნენ. ხოლო სამუსაიფო საგანი მომეტებულ ნაწილად: ბანქო, ღვინო და ქალები იყო.

II

ახალ წლის დღე იყო. სოფ. მ—ნის პატარა ეკკლესიაში მლოცველნი ვერა ტეულიყვნენ, რის გამოც უმეტესი ნაწილი ახალგაზდობისა ეკკლესიის მოედანზედ ლაზღანდარობდნენ, ზოგი ერთმანეთს „აბერებდა", ზოგი ხუმრობდა და რამე შეთხზულს სასაცილო ამბავს მოუთხრობდა მეგობრებს, ზოგი ამინდზედ ლაპარაკობდა და ზოგიც ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ. გათავდა წირვა და ეკკლესიიდგან გარეთ გამოვიდა დანარჩენი ხალხიც. „აბა ბიჭებო, დაიძახა ერთმა ჩოხა შემოკეცილმა ახალგაზდამ, წრე გააკეთეთ, წრე! გოგოებო, დაირა მუზიკა, თქვე მელის ვახშამნო, თქვენა! ჰა ჩქარა დამაზელინეთ ე თოვლი". ეს ხმა ყველამ იცნო. ყველა მიხვდა, რომ ეს ქიტელა პაპიას ბიჭი იყო, სოფელში ხუმარად ცნობილი. „ჰა გაგაქროს ღმერთმა" ღიმილით წაიჩურჩულეს ქალებმა, რომელთაც თუმცა წყევლა შეუთვალეს ქიტელოს, მაგრამ გულში-კი ლოცავდნენ და უხაროდათ თამაშობის გამართვა. ,,ჰაი, გიდი, პაპიას ბიჭო'', გაისმა აგრეთვე ხუმრობის კილოთი ვაჟკაცების გულიდამაც ხმა, ,,შენ ვინ დაგაყენა ქალების უსტაბაშად.''—,,რა ძალიან ბუნტს მიგდებთ კაცო, რა იყო, თუ თქვენ არ ითამაშებთ, მე და ჩემმა ცოლმა უნდა ვითამაშოთ'', უპასუხა ქიტელომ და წაავლო თავისს მეუღლეს ხელი, რომელიც იქვე ქალებში იდგა. ,,გამო დედაკაცო, შე ოჯახ-აშენებულო, ქიტელომ სწრაფად შემოატრიალა თავისი მეუღლე, ქალებმაც დაუკრეს დაირა და აწუწუნეს მოშლილი თვლებ ჩაცვივნული ,,ბუზიკა''. გაიმართა თამაშობა... ხან ერთი ახალგაზდა გამოვიდოდა და თავ-მომწონეთ გამოიწვევდა ახალგაზდა ქალს და ხან მეორე.

ზოგს თამაშობა რომ მოსწყინდა, გააკეთეს მეორე წრე და დასძახეს: „შავლეგო''. ტაში, სიმღერა, დაირა და მუსიკა ერთმანეთში აირია, ყველანი ერთმა გრძნობამ გაიტაცა. მათი სხვა დროს ჯაფისაგან მოხარშული სახე და შეჭმუხვნილი შუბლი გაცოცხლდა და გაიშალა. სწორედ გასაკვირველია, საიდგან შერჩენოდათ ამ ხალხს ამდენი ძალ-ღონე და სიცოცხლე, იმ ხალხს, რომელიც ცისმარე დღეს ოფლის ღვრაში ატარებს და რომელთა კისერზედ ათასი კანონიერი და არა კანონიერი გადასახადია მძიმე ტვირთად დადებული. დღეს დიდსაც და პატარასაც ერთიანად დაევიწყებინათ თვისი შინაური ჭირ-ვარამი და მხოლოდ იმას სცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ემხიარულებიათ. ამ საერთო სიხარულში იყვნენ ეს ჯაფის შვილნი, რომ უცებ მოესმათ რამდენიმე ახალგაზდობის უწმაწური სიტყვებით ლანძღვა. მიიხედეს და დაინახეს სამაზრო ქალაქის სამმართველოს ესრეთ წოდებულნი „კანდიდატები", ისინი მათრახით ირიდებდნენ ხალხს გზიდგან. ბევრს მოაფხანინა მათმა გამოქნეულმა მათრახმა წელი, მაგრამ ყველა ამას ისინი ხუმრობაში ატარებდნენ. ეკკლესიასთან რომ მივიდნენ ყმაწვილები, ერთბაშად ჩამოხდნენ ცხენებიდგან და ლაგმები ამაყად გაუშვირეს ჩვენგან ცნობილს ვასოს ბიჭს, რომელსაც ვასო სულ-ყოველთვის თავისთან ატარებდა ხოლმე. ეკკლესიაში შესვლა არც ერთმა არ მოიწადინა, რახან, რო-

---

ზული ცას შეჰყურებს, რას უქადის; როდესაც მოაწევს დრო ვალისა, სარგებლისა, ან გარდასახადისა, ვარდება ჩარჩის ხელში, რომელიც სარგებლობს მისის უსაზღვრო გაჭირვებით და ართმევს მომავალ სარჩოს, მოსავალს; ამ სახით მისი „ნაოფლარი", ნამუშავარი, ხშირად გადადის სხვის ხელში და მას-კი „თხის კუდიც" არ ხვდება ხოლმე.

ადვილად მოსალოდნელია, რომ ეს მისი საკუთრება ოფლით და სისაწყლით ნაშოვნი მრჩენელი მიწის ნაგლეჯი, რომელიც მის „მწყალობელ-ბატონად" იყო გადაქცეული, ერთს დღეს ვინმე „ვიგინდარას" ხელში გადვიდეს, ყველა მისი მეზობლების „სალადლადოთ", დასაყვედრებლად; „ის მაინც უჭკუო, უგუნური, მოუხერხებელი კაცი იყო, მისი ცოლი მეტიჩარა და მისი შვილები ზარმაცნი—გამფანტველნი. „რა სიამოვნებაა და ბედნიერებაა?!.

„მაღალი წოდება" (classe élevée). ამნაირად, სადაც გავიხედავთ, ყოველგან ვამჩნევთ შემდეგს: უსაშველო ყმობა, უკიდურესი აუტანელი მუშაობა, უარარაობა, უმუშაობა, მათხოვრობა, ციხეში ჩამწყვდევა, ქალების გარყვნილება, 1) შიმშილით სიკვდილი—აი ეს არის ხვედრი ეგრედ წოდებული პროლეტარიისა, დაძაბუნება, ცხოვრების უფერულობა, მოუსვენარობა, მწუხარება, „დავსება", გაკოტრება, უპატივრობა—ეს არის ხვედრი შუათანა ხალხისა.

აი ამნაირად სცხოვრობს საფრანგეთში დაახლოვებულის გამოკვლევით 35 მილიონი ხალხი—$38\frac{1}{2}$ მილიონ მცხოვრებლებიდგან. რომ არ მოვუმატოთ, ამნაირია 100-დგან 90 კაცის ცხოვრება 2). ამ დანარჩენი ათის მდგომარეობა როგორია?—ამათი ხვედრია არავითარი სოციალური, პროზაიკული სუნი არ იყნოსონ (იგრძნონ), თავისის მარაოებით დაცულს დარბაზში, იგემონ მხოლოდ ყოველივე „ამა ქვეყნისა სიამენი"; ამათთვის არის გაჩენილი ამ ქვეყნად: კმაყოფილება, პატივი, ღირსება, განმავალობა, მათ ეღირსებათ სრული კმაყოფილება, სიტკბოება—ამნაირად ფიქრობს პროლეტარი და შუათანა ხალხი უმაღლესს წოდებაზედ, მაგრამ მართალია-კი ეს?

მე არ ვიტყვი, რომ ეს „არჩეული პირები" არ ეფარებოდნენ მატერიალურს, ნივთიერს გაჭირვებას, მაგრამ ნუ-თუ მარტო მდიდრულად მორთულ, გაწყობილ, შემკულ ოთახებში ცხოვრება შეიცავს ბედნიერებას? ჩემის აზრითაო, ამბობს ავტორი, ყოველნაირი მდგომარეობა თანამედროვე საზოგადოებაში, რომელსაც ერთის მხრით მოჰყვება რაიმე სარგებლობა, სიამოვნება, მეორეს მხრით თხოულობს, ხარკად ახდევინებს არა ნაკლებ საღირალს, უსიამოვნების საფასურს—აი რატომ: ჩვენ ხომ გამოვიკვლიეთ რა არის ბედნიერება: „ეს არის ყოველი კერძო პირისათვის უფლება (საშუალება, მოხერხება) დააკმაყოფილოს თავისუფლად ყოველივე მისი მოთხოვნილებანი, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი და ზნეობრივი. თვით კაცის ბუნებაშია ის გარემოება, რომ, რა-კი ერთი ამ სამ მოთხოვნილებათაგანი იქმნება დაკმაყოფილებული, მეორეც და მესამეც კიდევ უფრო მომეტებულის სიცხოვლით თხოულობს დაკმაყოფილებას; ამიტომ ბევრს ჰგონია: თუ მდიდარია კაცი, ან ნასწავლი, არტისტი, გამოჩენილი და ცნობილი ამ ჟამად, ჰგავს უსათუოდ ბედნიერი უნდა იყოსო; სრულიადაც არა:

1) არ არის ბედნიერი და არც შეიძლება იქმნეს ბედნიერი ის, ვისაც უჭირავს კალამი ხელში, უნდა რამე დასწეროს სწრაფად, თავისუფლად და ყოველ წამში, ყოველ სტრიქონზედ ძალა-უნებურად ებორკება ათასნაირ ცრუ-მორწმუნეობას, და უვიცობის გამო გამეფებულს უსამართლობას, რომელსაც ერთი აზრიც ვერ გამოუხატავს უმისოდ, რომ არ ეჩხიროს თვალში სხვისი დაცინვის სიმწვავე, უმისოდ რომ არ იგრძნოს სირცხვილის გავლენა, უმისოდ რომ არ შეეჯახოს ათასნაირ დაბრკოლებას.

2) არ არის ბედნიერი, და არც შეიძლება იქმნეს ბედნიერი ის მოაზრე ადამიანი, რომელიც ფიქრობს და ხედავს, რომ ყოველ წამს იქსუება, იბღალვება კაცობრიობის ღირსება, იკვეცება კაცის ფიქრები შემცდარი, უვარგისი მეთოდებით და გამოუყენებელი მიმართულებით.

3) არ არის კმაყოფილი და არ შეიძლება იქნას კმაყოფილი ის მხატვარი,—მსახიობი, რომელიც ხედავს მაღალ-შთაგონებითი ნიჭის დამონავებას ყოველგან ვაჭრული ინტერესების გამეფებით, დაბალი, გაფუჭებული გემოვნების მოთხოვნილებით; რომელიც ამჩნევს, რომ ყველა ის, ვინც ცოტა-ოდენად თავისებურობას სცდილობს, ორიგინალურს რამეს ფიქრობს, ვისაც უნდა დამოუკიდებელი ხასიათი შეინახოს, იქნება სამარცხვინოდ ღობეს გარეშე გადაკეტილი.

4) არ არის კმაყოფილი და არც შეიძლება იქნეს კმაყოფილი ის ფილოსოფოსი, რომელიც თავისის ოცნებით დაცურავს მაღალ გონებრივ იდეების მორევში და ამავე დროს ჰგრძნობს თავის ფეხ-ქვეშ ათასობით სავსე ასვრილ-დასვრილ ადამიანებს, აღჭურვილებს უვიცობით, მცირე ინტერესებით, რომელნიც მზად არიან ქედი მოიხარონ თითოეულის

1) ეს მე გამოვტოვე, რადგანაც ჩვენ, მადლობა ღმერთს, ჯერ წარმოდგენაც არ გვაქვს მაგისთანა მდგომარეობისა და ვეცადოთ უნდა, რომ არც შემდეგ გვექმნეს მზგავსი ანორმალური გარემოება.

2) თვით უპირველესი ეხლანდელ ქვეყნებშიო (ევროპის), ამბობს ეკონომისტი სეი, შეიძლება იქმნას 1000-დგან ერთი მდიდარიო, მაგრამ 100,000-დგან ერთი „კმაყოფილი" (aisance) ცხოვრებისა კაცი არ მოიძებნება.

გორც თითონ ამბობდნენ: „ხატები დაფრთხებიან ჩვენს დანახვაზეო“. ყმაწვილები მივიდნენ, საითაც გლეხკაცობა თამაშობდა. გლეხებმა ყველამ უკმაყოფილოდ შეხედეს, თითქოს იგრძნეს ესენი ჩვენის მხიარულების დამრღვევნი არიანო. მისვლისათანავე ერთმა ,,კანდიდატთაგანმა დაიძახა. ,,ფერხულს თავი დაანებეთ, ჭიდილი უნდა გავმართოთო“, ამაზე თავისმა ამხანაგებმაც მისცეს ხმა, მაშინვე დაუშინეს გლეხებს მათრახები წრის გასაკეთებლად, მალე ფალავნების არჩევასაც შეუდგნენ. ვასომ წაავლო ერთ ახალგაზდა ბიჭს ხელი, რომელიც დიდხანს ეხვეწა თავი დამანებეო, უარის თქმა ვასოს არ ეკაშნიკა და კიდეც გაუკვირდა ,,ყაზახმა“ როგორ გამიბედაო, რისთვისაც ერთი სილაქი სტკიცა. ამაყმა ქიზიყელმა გლეხმა ვერ აიტანა ამნაირი შეურაცხება, ერთი-კი უთხრა, ხომ არ გაგიჟდიო და დაუშვა ვეება ჯოხი ვასოს თავში. ვასოს წამსვე თავი გაუსქდა და წაიქცა; ამის დამნახავი ამხანაგები მყისვე მიეშველნენ მას. ჯერ მათრახით ცემა დაუწყეს ვასოს გამლახველს, მაგრამ როცა გლეხებიც გამოექომაგნენ თავისიანს, მათრახი ხმალ-ხანჯალზედ შესცვალეს და შეიქნა ერთი ალიაქოთი. ჩხუბი კარგა ხანს განეგრძო. ვასოს მამასაც გაეგო ამბავი და კაცებით გამოქცეულიყო ვასოს მოსაშველებლად, მაგრამ როცა მოვიდა ეკკლესიის მოედანზედ, ჩხუბი გათავებული დახვდა; მხოლოდ მისი შვილი სისხლის მორევში სცურავდა...

მ. ბენაშვილი.

## საფილოქსერო დასების მოქმედების შესახებ.

სურამისა და ცხინვალის საფილოქსერო დასმა გამოიკვლია ვენახები გორის მაზრის დასავლეთ მხარეში. ს. ალში გასინჯა 14 ვენახი, სამ დესეტინა და 1,663 ოთხ-კუთხ საჟენ ადგილზედ. ჩუმა-თელეთში—რვა ვენახი 2,290 ოთხ-კუთხ საჟენ ადგილზედ, აზარგელში—ცხრა ვენახი ერთს დესეტინა და 1,325 ოთხ-კუთხ საჟენ ადგილზედ. ს. ცხინვალში, ხეითში, თამარაშენში, ფრისში, არგვიცში და ერედვში გასინჯა 319 ვენახი 128 დესეტინა და 1,087 ოთხ-კუთხ საჟენ ადგილზედ. სურამისა და ბორჯომის ნაწილში გასინჯა შიგა-და-შიგ 47 ვენახი. ამ გამოკვლევის დროს დასმა აღმოაჩინა ფილოქსერა ს. ალში ხუთს ვენახში 19 ვაზზედ. ს. ჩუმათელეთში ორ ვენახში 12 ვაზზედ, ს. კურთანეთში და აზარმელში თითო ვენახი აღმოჩნდა ფილოქსერიანი. ყველგან, საცა-კი ფილოქსერა აღმოჩნდა, საჭირო ღონისძიება იხმარეს გასაქრობად.

ტფილისის საფილოქსერო დასმა ტფილისის მაზრაში და თვით ტფილისში შიგა-და-შიგ გასინჯა 903 ვენახი 376 დესეტინაზედ. ბორჩალოს მაზრაში — 1,417 ვენახი 164 დესეტინა ადგილზედ. გორში და სოფ. ხიდისთავში დასმა გასინჯა 89 ვენახი 24 დესეტინა ადგილზედ. ამას გარდა ს. მეჯვრისხევში შიგა-და-შიგ დასმა გასინჯა 73 ვენახი 70 დესეტინა ადგილზედ. ზემოხსენებულ ადგილებში არც ერთგან ფილოქსერა არ აღმოუჩენიათ.

ყველგან ვენახები დიდად იყვნენ დაზიანებულნი მილდიუსაგან. გარდა იმისა, რომ ამ სენმა მოსავალი შეამცირა, ვაზზედ შერჩენილი ყურძენი კარგად ვერ დამწიფდა.

კახეთის საფილოქსერო დასმა გასინჯა თელავის მაზრის ს. ახალ-სოფელში და ქვემო-ხოდაშენში ის ვენახები, სადაც მებაღეებად იყვნენ იმერლები იმერეთის იმ ადგილებიდგან მოსულნი, სადაც ფილოქსერა უკვე მოდებულია. ორსავე სოფელში გასინჯეს შუა რიცხვით 11,75 ვაზი $22\frac{1}{2}$ დესეტინა ადგილზედ. დასმა გასინჯა აგრეთვე ოც-და-ერთი ათასი ვაზის ძირი, ფილოქსერა არც ერთს არ გამოაჩნდა. ყველგან ვენახები ნაცარსა და ობს დაეზიანებინა. არც ნაცარი და არც ობი არა ჰქონდათ მოდებული მხოლოდ საუფლისწულო ვენახებს, რადგანაც მათთვის თავისს დროზედ ეწამლათ.

შენიშვნა. წელს ივლისში კახეთის საფილოქსერო დასმა გასინჯა ვენახები 24 დესეტინა და 674 ოთხ-კუთხ საჟენზედ.

## რუსეთის ცხოვრება.

—

ამ მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს მომავალ საყოველთაო აღწერის მოწყობა-გამართვა. კომისია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არის დაარსებული და შესდგება სხვა-და-სხვა სამინისტროთა და დაწესებულებათა წარმომადგენელებიდგან.

—

სამხედრო ბეგარის აღსრულების სხვა-დ-სხვა შეღავათთა შესახებ წესდება ხელახლავ იქნება გადასინჯული, ამბობს გაზ. „გრაჟდანინ“-ი.

—

„ნოვოსტი“-ის სიტყვით, დუელის კანონი ამ მოკლე ხანში ხელახლავ უნდა გადასინჯოს მთავრობამაო.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** გაზ. „ტაიმს“-ში დაბეჭდილია წერილი გრაფის ლეონ ტოლსტოისა დუხობორების შესახებ. ამის გამო გაზეთი შეჰნიშნავს, რომ დუხობორებს არაფერი აქვთ საჩივლელი და მთავრობამ სრულიად სამართლიანად დასაჯა იგინი, რადგანაც არ ემორჩილებოდნენო. არც ერთი სახელმწიფო არ მისცემს ნებას ისეთის მოქმედებისას, რომელიც კულტურულს ცხოვრებას არ შეეფერებაო, ამბობს გაზეთი „ტაიმს“-ი.

როგორც ხმა ისმის, იტალიაც ჰგზავნის თურმე თავისს ფლოტს ოსმალეთის ზღვაზედ იმ მინდობილობით, რომ ინგლისელებს მხარი დაუჭიროს, თუ რომ ინგლისელები ოსმალეთის წინააღმდეგ პირ-და-პირ დაიწყებენ მოქმედებას, მაგრამ იტალიის ფლოტი იმ შემთხვევაში-კი არ მიიღებს მონაწილეობას, თუ ინგლისის ჯარი ოსმალეთის ტერრიტორიაზედ გადავა.

ლორდ-მერის ნადიმზედ მარკიზ სოლსბერიმ წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც დაუხატა დამსწრეთ რა დიდი გავლენა იქონია ინგლისის დიპლომატიამ ოსმალეთსა და ჩინეთზედ.

—

**ოსმალეთი.** იგრიდგან „მშაკ“-ს ატყობინებენ, რომ ბაიაზეთში სომხები ამოუწყვეტიათ. ბევრი სომეხი რუსეთის სამფლობელოში გამოქცეულა და თავი ამით გადურჩენია.

—

იმავე გაზეთს კონსტანტინოპოლიდგან სწერენ, რომ იქ კვლავ ბევრი დაუტუსაღებიათ. ოსმალნი შფოთვენ და ძალიან უკმაყოფილონი არიან. დაშინებულნი სომეხნი ისევ ეკლესიებში გროვდებიან თავის შესაფარავად.

—

პროვინციებიდგან ამბავი მოდის ყოველ-დღე, რომ ოსმალნი ძლიერ გაჯავრებულნი არიან, რათ დასთმო მთავრობამაო; სომხები-კი შიშობენ და მთებში იხიზნებიან.

## ჩაქვისა და კინტრიშ-ქობულეთის გათათრება.

(ნაამბობი სოფ. ზენდიდში და ძველს ქობულეთში მცხოვრებთ გუგუნავასა და დუმბაძის მიერ).

ოსმალებმა მთლად გაათათრეს ხალხი, მერე ეკკლესიები დააქციეს. ამას შემდეგ ყველას თურმე ჰქონდა ნახატები, ან ჯვარი სახლში; ესენიც წაართვეს. ხალხსაც დაუწყეს თათრული ლოცვების შესწავლა და სწავლება, ამას გარდა ხალხს დაუშალეს, რომ არამცა და არამც ეკკლესიებისაკენ არ გაიაროთო. ხალხი ამას ასრულებდა, ესენი ყველაფერს ერიდებოდნენ, მაგრამ ეკკლესიებში სიარულიც-კი ძლიერ ედარდებოდათ. დღესასწაულ დღეებისთვის ესენი თავიანთ სოფლებიდამ ღამე გაიპარებოდნენ ხოლმე სხვა-და-სხვა ახლომახლო ქრისტიანთ სოფლებში და იქ ესწრებოდნენ წირვა-ლოცვას და დღესასწაულ დღეებს, ნამეტურ აღდგომა ღამეს ლიტანიასა ასე და ამგვარად ძრიელ ბევრნი დადიოდნენ ეკკლესიებში სალოცავად და მით ინახავდნენ ცოტად ძველს სჯულს.

ერთ აღდგომა ღამეს ჩოლოქის განაპირა თათრის სოფლებიდამ რამდენიმე კაცი გავიდა სოფელ ქაქუთის ეკკლესიაში ლოცვაზე დასასწრებლად, ესენი ლოცვას დაესწრნენ და გათენებამდის ყველანი შინ დაბრუნდნენ. ამათ სახლებში ყველას უხაროდათ, რომ ესენი აღოგომა ღამეს ეკკლესიაში წავიდნენ, ეკკლესიიდამ ამათ წითელი კვერცხებიც მოიტანეს. იმ დროებში აქეტკენ სააღდგომოთ ყველგან ღებავდნენ წითელ კვერცხებს. იმ ღამეს სოფ. ქაქუთში ერთ მეოჯახეს ცხენი დაჰკარგოდა, ეს ცხენი ეძებნათ აქეთ-იქით და ვერსად ეპოვნათ. ბოლოს ეფიქრათ, რომ აქ რომ სალოცავად გათათრებული ქართველები იყვნენ, უეჭველად ისინი მოიპარავდნენ ცხენებსაო. მეორე დღეს ქაქუთიდამ რამდენიმე ქრისტიანი გადმოვიდა, მოძებნეს ხსენებული კაცები და მათ დასწამეს ცხენების ქურდობა. ამათ უთხრეს:

— ღმერთი, სჯული, რომ ჩვენ არ წამოგვიყვანია, ჩვენს იქ ყოფნას ნურავის ეტყვით აქ, თორემ დავიღუპებით, აი ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ საიდუმლოდ ვქართველობთ და ნუ გვიზამთ რამე ცუდს.

— მაშ, ცხენი გამოაჩინეთ და არავის რას ვეტყვითო, მიუგეს გურულებმა.

ამათ ცხენი ვერ გამოაჩინეს, რადგანაც არც მოეპარათ. ბევრს ეხვეწნენ, ემუდარნენ და ბოლოს იმითი მორიგდნენ, რომ ცხენის სამაგიეროდ ფული მისცეს და გაისტუმრეს. მაგრამ დახედეთ ამათ ავ-კაცობას: ესენი იქიდგან შინ-კი არ დაბრუნდნენ, ქობულეთში გადავიდნენ და ცხენის ქურდობა მაინც უფროსს აცნობეს და ყოველივე შეატყობინეს, რომ აღდგომა ღამეს ჩვენს სოფელში იყვნენ და ლოცულობდნენ. ამის გამო ხსენებული კაცები დაიბარეს და კინაღამ თავები დასჭრესო, ცხენი-კი მაინც ვერ აღმოჩნდაო. ამის შემდეგ ჩუმ ქრისტიან ოჯახებს ისე გაუჭირეს საქმე, რომ ქრისტიანობას სრულიად მოაცილე-

---

მატყუარა-შარლატანის უვიცების წინ; —ის მეცნიერი, რომლის გენიალური და ახალი დიადი აზრები უვარდება ხელში გასარჩევლად, დასაფასებლად თავის მოხელეობაში მოძმეს, ხარბს, მცირედ, პირადი, წვრილმან გრძნობით აღჭურვილს; მისი მაღალი გონების ნაყოფი ხდება ქუჩის სამასხაროდ, უვიცი კრიტიკოსების სალაზღანდაროდ და უბრალო ხალხის სასაცილოდ.

5) არ არის ბედნიერი და არც შეიძლება იქნეს კმაყოფილი ის მდიდარი, რომელიც მუდამ ფიქრობს, რომ ერთ დღეს არ დააშვავდეს თავზედ ყოველივე იმ უსამართლოების ცოდვა, რომლითაც მან მოხვეჭა თავისი სიმდიდრე;—ის კაცი, რომელიც დარწმუნებული არ არის, რომ მისი გულითადი მეგობარი, რომელიც ეხლა ასე მაგრად ხელს ართმევს, თავს ევლება, არ უყურებს მას, როგორც ფულებით სავსე სალაროს, რომლიდგანაც სცდილობს რამე „ამოაცოცოს“;—ის კაცი, რომელიც დაჯერებული არ არის, რომ მისი საყვარელი, ძვირფასი, ლამაზი ცოლი, რომელიც ყოველ დღე ათასნაირი ალერსით ეხვევა, ნამდვილი წრფელი, უანგარო განწყობილებით არის აღჭურვილი და არ უყურებს მას, როგორც საშუალებას მისი თავმოყვარეობა, პატივ მოყვარეობის მოთხოვნილება, დაიკმაყოფილოს,—ის კაცი, რომელიც ხედავს, რომ მისი შვილები, რომლებსაც, მომეტებული ნებივრობისა გამო, თავისის გონების განვითარება ვერ მოუხერხებიათ, ერთ დღეს „წყალში ჩაყრიან“ ამ მის ცოდვით და ოფლით ნაშოვარს ქონებას. თუმცა ის ხშირად უმართავს წვეულებას, მხიარულებას ამა ქვეყნის წარჩინებულებს და შეძლებულებს, მაგრამ მისი გული-კი ვერას დროს ვერ იგრძნობს ნამდვილ მშვიდობიანობას და კმაყოფილებას.—ამნაირად შეგვიძლია უთვალავი მაგალითები მოვნახოთ.

თუ ამ თვალ-გადაუწვდენელი უხალისო სანახავების ოკეანეში მოიძებნება ერთად-ერთი კუნძული, სადაც კაცს შეუძლია შეასვენოს თავისი დატანჯული სული,—ეს უეჭველად ის გრძნობა უნდა იყოს, რომელსაც „სიყვარულს“ ეძახიან, მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ყოველ ნაირს ეხლანდელს თავისუფლად გულის ძგერის გამოხატვას, წრფელს გრძნობას ყოველ წამს, ყოველ შემთხვევაში ეჩხირება, ებორკება ათასნაირი ცხოვრების წინააღმდეგობა, რომლებსაც ჰქვიან: შენი სოციალური მდგომარეობა, ოჯახის „მოვალეობა, მოთხოვნილება“, საზოგადოების აზრი; ეს წინ-და-წინვე დანიშვნა სიყვარულის საზღვრისა არის ერთი ნავთ-სადგურთაგანი, რომლიდგანაც გამოდის ათასნაირი ხომალდი მწუხარებით სავსე (დატვირთული) და ეს ერთნაირად ეხება, როგორც მდიდარს, ისე ღარიბს, როგორც დიდს, ისე პატარას.

რამდენი ხანია პოეტები, მსახიობანი, დრამატურგნი ერთი მეორეზედ უფრო ნათლად გვიხატავენ ამ მუდმივ საყოველქვეყნო ,,რომეო და ჯულიეტას“ ისტორიას, ამ სიყვარულის ,,ოდისეას“,—სულიერ ბრძოლას და ტანჯვას. მე დიოგენის სანთლით ვეძებო, ამბობს ავტორი და ვერ მიპოვნია ეს „ბედნიერი“ კაციო, ვერც მუშებთა შორის, ვერც მის პატრონებთ შორის, ვერც მდიდრებთ შორის, ვერც ღატაკთა შორის, ვერც სწავლულებთ და განათლებულებთ შორის, ვერც უვიც-უცოდნელებთ შორის. შეიძლება ერთი და იგივე სახე არ ჰქონდეს ამ საერთო მწუხარებას ყოველგან, როგორც ზევით ისე დაბლა: აქ ეს ტანჯვა კუჭს ეხება, იქ გონებას, იქ გულს; ერთი სწუხს თავში, მეორე ბოლოში; მწუხარება ყოველგან თავისუფლად, „არხეინად“ დანავარდობს მდიდრებისა დ შეძლებულთა სასახლეში, ისე როგორც ღარიბის წაქცეულს ფაცხაში. ჩვენი ცხოვრება არის ბავშვის პირველი ჭყივილიდგან უკანასკნელ სულის ამოხდენამდის მხოლოდ გაუთავებელი მწუხარება. სიხარული უბრალო სიტყვაა ამ ქვეყნად. აი ამიტომაც შეხვდებით შემდეგს აზრს: „ცხოვრება სისულელეა და არ ღირს ტანჯვად მისის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა“. „რად გვინდა ეს სიცოცხლეო“, ამბობენ მეორენი, „თუ მწუხარების მეტს არაფერს გვიქადის ისო“. შოპენჰაუერი ამბობს: „ეს სოფელი არის ცუდად გაჩენილი, ეს ქვეყანა არის ბუნებრივი ისტორია მწუხარებისა; ცხოვრება ამ ქვეყნად არის სატანჯველი“.

ჰარტმანი (Hartmann) ამბობს: ,,ჩვენი ცხოვრება ეხლაც და ყოველ დროს მწუხარებისაგან შემდგარი იქნება, ერთად-ერთი საშუალებაა ამ მწუხარებისაგან განთავისუფლებისათვის, რომ მოისპოს მთელი ქვეყნიერობა და მისი მცხოვრებნი. როგორც ვიცით, მრავალი თანამოაზრენი იშოვეს ამ ორმა ცნობილმა ფილოსოფოსმა.

ამგვარად ჰქრის ამ ქვეყნად ქარიშხალი ათასნაირი მწუხარებისა: ყველა სწუხს, დიდიდგან დაწყებული პატარამდის, მდიდარი, უხვი ისე, როგორც დაბალი და საწყალი; მწუხარების ჩაქუჩი ურტყამს შეუწყნარებლად და უჭყლეტს ყოველს მცხოვრებს თავს. აი ამნაირია 1895 წელი, ნუ-თუ კიდევ შორს არა ვართ სანეტარო იდეალთან?!

ნიკო გურული.

პარისი, აგვისტო 1895 წ.

(შემდეგი იქნება.)

სო. ესენი მოსცილდნენ, წმინდად გათათრდნენ და მერე ერთ დღეს გავიდნენ და ქაქუთში უთხრეს ქრისტიან დამზეზლებლებს:

— ბიჭო, რა მოგემატათ თქვენ, რომ ტყუილად დაგვაბეზღეთ, ჩვენ ეხლა წმინდად გაგვათათრეს და ჩვენი ცოდვების პასუხის მგებელი თქვენ იქნებით და თქვენი შვილის-შვილები.

საქმე ასე გათავდა და მერე ოსმალოს კაცები სინორის გზებს თვალ-ყურს ადევნებდნენ, რომ ქრისტიანებისაკენ ჩუმად არავინ გასულიყო. ბევრნი მოხუცებულნი-კი ქრისტიანებად დაშთნენ, ნამეტურ ქალები და ესენი როცა კვდებოდნენ, ქრისტიანულად მარხავდნენ. ხან მღვდელს გადმოიყვანდნენ ჩვენში და იმას დაამარხვინებდნენ და ხან მიცვალებული გურიაში მიჰქონდათ დასასაფლავებლად. ბევრჯელ მოხდა ისე, რომ სიკვდილის დროს ზოგი ერთი ახალ გათათრებულები თავისს ნათესავებს ავალებდნენ, რომ ჩვენ ქრისტიანულად დაგვასაფლავეთო. ამაზედ მიცვალებულის ჩვენში დამარხვას ქრისტიანულად ვეღარ გაბედავდნენ ხოლმე და ამას მის ნათესავები ღამე გურიაში წაასვენებდნენ და იქ დამარხავდნენ ქრისტიანულად სადმე, მაგრამ იქაც ჩუმად, რომ არავის ენახა და აქეთ ამბავი არ მოეტანათ. ისეთი შემთხვევებიც მომხდარა, რომ ხანდისხან მკვდრის წამღებთ გზაში ოსმალოს მომხრე კაცები დახვედრიან, მკვდარი წაურთმევიათ, ან კიდევ წამღებთ დაუგდიათ მკვდარი გზაში და თვითონ გაქცეულან დასამალად. რამდენჯერ მკვდარი გზაში დარჩენილა და ნადირს შეუჭამიაო.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## წერილი რედაქციის მიმართ.

ვუგზავნი „ივერიის" რედაქციას 25 მან. და 80 კაპ. და ვსთხოვ გადასცეს იმ კომიტეტს, რომელიც ქალების სკოლის სასარგებლოდ ფულს აგროვებს.

აი შემომწირველთა სიაც:

მღვდელმა დ. ჯანაშვილმა 5 მ., ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გველესიანმა 5 მ., ბლ. იროდიონ ოქროპირიძემ 5 მ., თომა პაპიაშვილმა 1 მ., ნინა ოქროპირიძისამ 1 მ., თამარა გველესიანისამ 3 მ., ფილიმონა მჭეიშვილმა 1 მ., №№ 1 მ., Н. Д. 1 მ., ბრაუნმა 1 მ., შავერდოვმა 20 კ., გელცმა 40 კ. და ნიკოლოზ ყიყიშვილმა 20 კ.

მღვდ. დ. ჯანაშვილი.

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-თ მიხეილ და ვასილ ალექსანდრეს ძე თუმანიშვილებს, რომლებიც ყოველთვის მზად არიან შემოქმედის სოფლის სკოლას რაიმე შემწეობა აღმოუჩინონ. წელსაც ამ საპატიო პირებმა ზემოხსენებულს სკოლას შემოსწირეს ერთი საკლასო დაფა, ღირებული 20 მანეთად.

შემოქმედის სკოლის ზედამხედველი ფილიპე მგელაძე.

10 ოქტომბერს, 1895 წ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ოცს ოქტომბერს პეტერბურგის მიტროპოლიტის განკარგულებით პეტერბურგის ღარიბს გაუმართავენ 2000 სადილს განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად.

**მიუნხენი.** პარლამენტში ზოგიერთმა დეპუტატმა გაჰკიცხეს გერმანიის მთავრობის მოქმედება რუსეთის შესახებ. მინისტრმა კრაილსჰეიმმა სთქვა, რომ გერმანიის გარეშე პოლიტიკას აწარმოვებს გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთი წარმოადგენს ისეთს მნიშვნელოვანს სახელმწიფოს, რომ უმთავრეს საგანთა განხილვის დროს ყველამ უნდა სახეში იქონიოს რუსეთთან დამოკიდებულება.

**კონსტანტინოპოლი.** საგანგებო კომისიამ სომხეთის საქმეებზედ დაიწყო არჩევა კონტროლურ კომისიის წევრებისა და გუბერნატორების თანაშემწეთა.

ხმა გავრცელებული ინგლისის გაზეთების მიერ, ვითომც შეთქმულება იყოს ოსმალეთლთ შორის და სიკვდილით დასჯილ იყოს ვინმე, ტყუილია. იზმიდას მშვიდობიანობაა.

**ვენა.** ანტისემიტი ლიუგერი ამორჩეულ იქმნა ვენის მოურავად.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს" მინდობილი აქვს გამოაცხადოს, რომ „ტაიმს"-ის ცნობა, ვითომ რუსეთსაც და ჩინეთს პირობა შეეკრათ პორტ-არტურის გარდაცემის შესახებ, ტყუილია.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველის. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 211½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | — „ | — „ | 100⅛ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | 99½ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | 99½ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 97½ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ბოროკინ შჩერბაჩიჩისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. ზრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ბ. ჯარაშვეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზრიტასევიჩი, 5—6: საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში

ცხოვრება მეფე გიორგისა

აღწერილი პლატონ იოსელიანის მიერ.

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.

ფასი ერთი მანეთი.

---

ახლად გამოვიდა გასასყიდად

რეინიკე კუდა-მელა

(ათის სურათით)

ნათარგმნი გ. იოსელიანის-მიერ. გამოცემა ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიისა.

ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.

ფასი წიგნისა 50 კაპ., ვინც ათს ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ნაღდად, წიგნი დაეთმობა 40 კაპ.

(5—6.—3)

---

ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

---

ახალი გამოცემანი:

საშზარეულო

ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა

მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

ფასი მანეთ ნახევარი.

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.

აღა-მაჰმად-ხანის

შემოსევა ქ. ტფილისში.

თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.

ფასი 25 კაპ.

იყიდება ამხანაგობის კიოსკში.

---

დაიბეჭდა მეხუთე გამოცემით

„РУССКОЕ СЛОВО",

შედგენილი

იაკობ გოგებაშვილის მიერ.

ტექსტი წიგნისა უცვლელია, მაგრამ ას-ორმოც-და-ათი ახალი სურათი აქვს ჩართული, რვა საბავშვო ლექსი მეორე წიგნიდგან გადმოტანილია პირველს წიგნში და ბოლოში დამატებული აქვს წვრილი ხელის რუსული დედანი. ფასი წიგნისა ექვსი შაური, დაკაზმულისა—ორი აბაზი. ვინც ოც-და-ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, დაკაზმული 32 კაპეიკად. (6—4).

---

L'URBAINE

УРБЭНЪ

Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13.

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება აჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ვეღარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—21)

---

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი"

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—)


Дозволен цензоурою, Тифлисъ 18-го Октября 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.